

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამბროსიძის სახლში № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამბროსიძის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროада“.

გაზეთის ფასი: თბილისში—8 მან., ნ. ხ. კვარ წლისა—4 მან., და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორგაბათს გარდა

ფრთხილვა

ცალკე ნომერი ღირს შაშურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებში.

ფასი განცხადებისა: ღირს ახალგაზრდობით ასობე—1 კაპ., ახო-მთავრულით ატრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკლოთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

ჩვენს მდინარეებს

ისტორიაში სწერენ, რომ, როდესაც დიდი ნაპოლეონ პირველი გაემგზავრა ლაშქრად მკვიტესაყენ, იმან წაიყვანა თანაო მთელი კომისია სხვა-და-სხვა მეცნიერებისა: ისტორიკოსები, ბუნების მეცნიერნი, არხეოლოგები და სხვანი, იმ განზრახვით, რომ ყოველის მხრით გამოიკვლიოს და გაიცნოს ახლად დაპყრობილი მკვიტეს ქვეყანა.

აქედამსწინ, რომ ნაპოლეონს კარგად სმენია ის ჭეშმარიტება, რომ ხალხის დასაპორობილებლად და შესაერთებლად მართა ხრმლით დაპყრობა როდი კმარა; რომ ამისთვის საჭიროა იმის წარსულისა და ეწმყო მდგომარეობისა და ცხოვრების გაცნობა, საჭიროა იმის მოთხოვნილებათა, ხასიათის, ზნისა და ჩვეულების გაგება, იმის ბუნების შესწავლა და სხვ. ასი წელიწადია თითქმის მას აქეთ, რაც ეს ჭეშმარიტება გაუგია ნაპოლეონ პირველსა, და ჩვენ კი დღესაც არ გვესმის კარგად.

ჩვენ შემოვიერთეთ ოსმალს საქარ-

თველო; შემოვიერთეთ ხრმლით. თუმცა ეს ქვეყანა ზედ ჩვენს საზღვარზედ არის მიკრული, თუმცა აქაური ხალხი ჩვენი მოძმე ხალხია; მაგრამ, უეჭველია, რომ ამით ჩვენ უფრო ნაკლებად ვიცნობთ, ვინემ მაშინდელი ფრანკუზები იცნობდნენ ვევიტელებსა.

მაგრამ გავანძვირეთ ჩვენ ხელი ჩვენი მოძმე ხალხის გასაცნობათ? რომელი ბუნებისმეცნიერი, რომელი ისტორიკოსი, რომელი არხეოლოგოსი, რომელი ეტნოგრაფი წავიდა ჩვენი ქვეყნიდან იმ ახლად-დაპყრობილ ოსმალს საქართველოს გასაცნობად და გამოსაკვლევად?

და ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ, როგორც იქაური ჩვენი კორრესპონდენტები გვწერენ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე იპოვება ამ ქვეყანაში სხვა-და-სხვა შესანიშნავი საგნები როგორც ბუნებაში, აგრეთვე ადამიანის ხელის ნამოქმედარი აწინდელი და ძველებური.

შურადღების ღირსია აგრეთვე, რომ, სანამ ეს ქვეყანა ოსმალეთის ხელში იყო და ჩვენებს სამეცნიერო მიზნით მოგზაურობა ძალიან უძნელდებოდათ, ოსმალს მთავრობა უკრძალავდა, — მანამ კი ცდილობდნენ ჩვენი პატივცემული მეცნიერნი იქ წასვლასა და იქაური

ქვეყნისა და ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის გაცნობას. და ახლა, როდესაც ოსმალეთის საქართველო ჩვენს ხელშია, როდესაც იქ წასვლა არავისაგან არ არის აკრძალული და ყველას თავისუფლად, უშიშრად და დაუბრკოლებლივ შეუძლია მოგზაურობა და ყოველგვარი ცნობების შეკრება, ყველაფრის დათვარიელება და გაცნობა, — ახლა კი კაცი არ იმჩინება, არ მიიჩნევა არ ჭეიქრობს ამ ქვეყნების გაცნობას!

ნუთუ არა მართა ყმაწვილებზე, არამედ თვით მეცნიერს, დარბაისელს ხალხზედაც მართლდება ის ჭეშმარიტება, რომ „აღკრძალული ხელი გემრიელიაო?“

მანა მართლა არ წავიდნენ ჩვენები ოსმალს საქართველოში! ღიას წავიდნენ და ბევრიც. მაგრამ რისთვის? სავაჭროდ, მამულების საყიდველად, ჩინოვნიკის თბილნი ადგილების სამებნელად, ერთის სიტყვით კუჭის საქმისათვის! მართი არ წასულა, რომ რაიმე ანგარება, კრძო სარგებლობა არ ჰქონოდა მხედველობაში... სამლოთო წერილშიაც კი სწერია, რომ მართა ერთის პურით ვერ იტოცხლებს ადამიანო...

და ის ჭეშმარიტებაც დროა გავიგოთ,

ფელტონი

არტაანის აგებები

— ჰოი დიდო პლახო, როგორ გაუძლოს კაცმა ამოდენა ტვინთ-მცველებს! ძნელია ჩვენს დროებაში საზოგადოთ ყველა მწერლის ხედრი და განსაკუთრებით პროვინციის კორრესპონდენტებისა, სადაც უფრო მრავალია ორფეზიანი ცხოველები, ვიდრე სხვაგან სადმე..

პროვინციის კორრესპონდენტი თუ შეეხოს რაიმე საზოგადო ბოროტებას, ვაფ იმის ბრალი: ან სულ ფრთა-შემოკვეცილი და დამახინჯებული შეხედება მას თავისი წმინდა საუნჯე, თავის წმინდა ფიქრი, ან თუ ამას ასცდა როგორმე, ყოველი მხრივ ესმის ცვირპირ დამტყვევის მუქარები! როდესაც საცრადვი მოჰქიდებს კალამს ხელსა, მაშინვე თვალთ წინ წარმოუდგება ეს თავისი მდგომარეობა, გონება უბნელდება, ყალბი ფსუსტდება ხელში. წარ-

მოიდგინეთ, რა ძნელია, როდესაც თქვენ გინდათ რომელიმე აზრი თქვენი სურვილისამებრ წარმოსთქვათ და სხვები გუებნებინ: „ჩვენ ვგრე არ მოგწონს, აი ასე უნდა ითქვასო!“

რასაკვირველია, ამისთანა მდგომარეობაში მყოფს კორრესპონდენტს წერის სურვილიც და ყველა ვენერაც ეკარგება და თუ ჩვეულებამ დაძლია და ველარ მოითმინა უწესობა, მაშინ ის იძულებულია დაიწყოს რალაც მიღებმოდება, რომელსაც ან სულ არავინ წაიკითხავს და თუ კიდევ წაიკითხავს ვინმე, აიჭუზნავს ცხვირს და რტყვის: „რას მიჰქარავს, რას მიედ-მოედებოა“.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრნი მოიპოვებიან ჩვენ საზოგადოებაში იმისთანა პირნი, რომელთათვისაც საზოგადოთ ახლად დაპყრობილი ოსმალს პროვინციების და განსაკუთრებით არტაანის, აქარის, ივერხევის, შავშეთის და სხვა ოსმალს საქართველოს მხარებში მცხოვრებლების ყოფა-ცხოვრების, ჩვეულებების, სულის და ხასიათის, მათი ქვეყნიერების შეხედულების და

სხვ. გაცნობა ძალიან სანუკარი არის და მოუთმენელად მოელნიან აქაური კორრესპონდენტებისაგან აქაობის გაცნობას. თუმცა არიან აქაც იმისთანა პირნი, რომელნიც ცდილობენ ამ ხალხის ყოველის მხრივ შესწავლას და მრავალი ცნობებიცა აქვსთ შეკრებილი, მაგრამ რა გინდა ქნა! — ამით ეშინიანთ შემდეგი ანდზის უკანასკნელი აზრისა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებაო...“

მეც შეძლებისამებრ ვცდილობ გავიცნო ჩვენი აქამდინ დაკარგულნი და ახლა ისევ ახლად მოპოვებულნი თანამოძმენი, რომელთაც, თუმცა ისტორიულმა საჭიროებამ რამოდენიმე საუკუნე განგეყარა ჩვენ, მაგრამ ბევრი რამ აქვთ კიდევ ჩვენთან საზოგადო და ძალიან მსურს გარდმოგცეთ ყველა: ამათი აზრი, ამათი ფიქრი მომავალზე, ამათი ბედზე ჩივილი და ყველა ამათი ნალაპარაკევი; მაგრამ ცემა-გატყვის და ძამჩატკის შიშიც რომ დავფრგფნო ჩემში და — გარდმოგცეთ, დარწმუნებული ვარ, რომ შენამდინ მაინც არ მოახწევს და



რომ ყოველ მეცნიერულ გამოკვლევას და ცოდნას თვით კუჭის საქმეზედაც, პრაქტიკულ ცხოვრებაზე და ადამიანის სიცოცხლის გაუმჯობესებაზედ დიდი, განუსაზღვრელი გავლენა და ზედ-მოქმედება აქვს...

ს. მ.

დღიური

* * * როგორც ჩვენი ოფიციალური გაზეთი „საქაზი“ გვაცნობებს, ბათუმში მხოლოდ ახლა გახსნილა ფოჩტის კანტორა; იგივე კანტორა გაუხსნიათ აგრეთვე სოხუმშიაც, სადაც ომიანობის გამო, სხვათა შორის, ფოჩტაც დაკეტილი იყო.

* * * ჩვენი სამეურნეო საზოგადოება ხშირად სხვა-და-სხვა კერძო პირებს აძლევდა ხოლმე ფულით შეწევას იმ განზრახვით, რომ ამ კერძო პირებმა მოაშენონ კარგი შინაური პირუტყვები, გამართონ სამაგალითო ბაღები, ვენახები და ბოსტნები და ამისაგან ხალხმა რამე შეიძინოს, და ამ ნაირად ქაჯკასის მეურნეობამ წინ წაიწიოს.

შს განზრახვა არ აუტრულდა ჩვენს

მეურნეობის საზოგადოებას: თითქმის ყველამ, ვინც კი რამე მიიღო სხენებუ-ლი საზოგადოებამ, თვითონ შესჭამა, თავის კერძო საჭიროებისათვის მოიხმარა და ხალხს ამათგან არავითარი სარგებლობა არ უნახავს.

ახლა ეს წესი მიატოვა საზოგადოებაში; კერძო პირს აღარავის აძლევენ ფულს.

მაგრამ საინტერესოა შევიტყოთ, ნუ თუ ის ფულები, რომელიც აღრე დაუ-რიგეს ზოგიერთებს, როგორც მაგალითად უფ. პუჩინბახს (სამი ათას თუმანზე მეტი) და სხვებს, სულ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს ჩვენი მეურნეობისათვის? ათასჯერ უკეთესი არ იქნებოდა, რომ ამის მაგიერად, ესთქვათ ამ სამი ათასი თუმნით ერთი სამეურნეო შკოლა გაეხსნათ?

* * * ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართული სცენის მოყვარე-აქტიორი უფ. მ. აბაშიძე ქართულ პიესების რეპერტუარს არდგენსო და სთხოვს ყველას, ვისაც რამ პიესა ხელნაწერი აქვს (ორიგინალური ან ნათარგმნი), აცნობოს მას სახელი პიესისა და აგრეთვე ავტორისა უფ. მ. ჩარკვიანის მალაზიაში.

* * * მართი სალიტერატურული მიზნით ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება უფ. ღ. ზ. ბაქრაძისაგან დაწერილი ბაგრატი მეოთხის ისტორია.

* * * ბოროდამ გვწერენ, რომ სოფლის ძლის სომხის მღვდელი ტ.—ღ. მ—ვი, რომელიც ზოგიერთს სრულგებობით არა სასულიერო საქმეებში იყო გარეული, ეპარხიალურ მთავრობას გარდაუყვანია ამ სოფლიდამ და იმის მოშორება ხალხს ძალიან გახარებია. მაგრამ გადაყვანის დროს ერთი ამბავი დააწია თურმე, არ აპირებდა წასვლას, თუმცა ეპარხიალური გამგეობიდან სეკრეტარი და ერთი სომხის ბლადოჩინი იყო გამოგზავნილიო. ახლაც ვეზინიან სოფ. ძლის ხალხსაო—ვაი თუ ხელ-ახლად დაგვიბრუნდეს ტერტერაო.

* * * სამეგრელოს სოფლის ცაიშის ერთი გლეხი გვწერს, რომ ჩვენს სოფელს გარეთ რომ სადმე წასვლა გინდოდეს, თუნდაც ყანაში სამუშაოთაო, უჭკველად კანცელარიიდან ბლეთი უნდა ავიღოთო და ეს ერთობ ძვირად გვიჯდებაო. ჩვენი კორრესპონდენტის ანგარიშით, თითო ბილეთის აღება გლეხს

ეს გარემოება ყველა შიშზე უფრო შესაძრწუნებელია...

მაშასადამე ისევ მიღებ-მოღებას მიეყო ხელს,—აგება ამ მიღებ-მოღებაში ზოგიერთა ედგელს თითო წათელი აზრი მაინც არის გამოგოტყურეს. წარმოგიდგინთ სხვა-და-სხვა სურათებს არტანის ცხოვრებიდან და ახლო-მახლო სოფლებში გადავიყვანთ. მიწებს აქაური საავათმყოფოებიდან, რადგანაც აქედამ დაწყება უფრო როგორღაც მენგრებია.

სამ-ოთხ ვერსზე აღმოსავლეთის მხრივ არტანადამ, ვგონებ იმ გოლის ძირში, საიდანაც შარშან უ. მუსხელიძემ პირველად თავის ბატარეიდან დაუწყო ქუხილი არტანს, თუმცა საკმაოდ ცივა. დამანაკებულია დროებითი სამხედრო № 12 საავათმყოფო. მარჯვნივ მხრივ ჩამოუდის ერთი პატარა ფშის წყალი, რომელშიაც მოიპოება მრავალი წვრილმანი ნაფოტა და ერთნაირი თავ-კობალა თევზი. შევითვინ, კარგა მოშორებით ამ წყლის ნაპირებზე დამწყობიებულია სალდათების სამხარეულოები. აქვე მალლობზე დამანაკებულია პატრიგორსკის პოლკი, რომოდენიძე მთის ზარბაზანი და ერთი უავათმყოფო საავათმყოფო. შიგ არტანის შესავალშიც დგას ერთი დიდი უავათმყოფო საავათმყოფო, ე. ი. ცარიელი კარავები და საავათმყოფოს მოსამსახურე პირნი.

მართის სიტყვით აქ, არტანში, ოთხი საავათმყოფოა, ორი თითო 210 კაციისთვის, ერთი 400-სთვის და ერთიც 600-სთვის.

შს რამოდენიმე თვეა, სამს საავათმყოფოში ერთი ავათმყოფიც არ არის; ავათმყოფები მხოლოდ მე-12 №-ში ჰყავთ და იქაც სრულ რიცხვზე ძალიან ნაკლები. როგორც მოგვხსენებთ, თვითო საავათმყოფო რამოდენიმე ათასი მანეთი ჯდება თვეში და, უჭკველია, ჩვენს ხაზინას ფულები მოსკარბებია, რომ ამოდენა ხანს ეს სამი საავათმყოფო ესე უშიზნოდ გაუჩერებიათ და არ გააუქმებენ... აგერ მოძუნძულებს ზემოდამ ქალაქისკენ ერთი ჩასუქებული ჩინოვნიკი, რომელსაც ამ გზაზე მყოფი საავათმყოფოდამ გადუდგებიან წინ ორი მისივე მგზავსი პირნი.

— მაშარჯვება შენი! რა ამბავია, კაცო, რა ისმის ამ ჩვენი გოშპიტლებისა: აუქმებენ თუ არა?..

შს ეუბნება, რომ არაფერი არა ვიცირაო და, როგორც ეტყობა, მიეშურება ქალაქში.

— მოიცა, ბიჭო, აჩერებს ერთი,— გვიანზე რამე ახალი ამბავი, ბლომით გყავთ ავათმყოფები და ხომ კარგი დავლა გაქვსო!.. შს მაინც თავისას არ იშლის და მიეშურება.

— რა გიჭირს, შეილო, რა!— ეუბნება მეორე თხუნელის მგზავსი ჩინოვნიკი,— ავათმყოფები ბევრი გყავთ და რაღათ ვისმე შეხედავ ზედ.

— რა არის, რო გყავს ავათმყოფები? ავათმყოფები განა რას მიმატებენ?

— შა, რაც უნდა იყოს, შეილო, თითო-ორიოლა გროშსაც არის მოიგებ. შა ჩვენი ბრალი, რომ არც ერთი ავათ-

მყოფი აღარ გყავს და ცალი ფულის მოგებაც გვენატრება.

— შხლა რაც უნდა ქნან,— იკვების პირველი, იმოდენი ჩაეჯიბე, რომ საკმაო ჩემთვის, ვიდრე ცოცხალი ვარ. შხლა გინდა დაკეტონ გოშპიტალი და გინდა გადაკეტონ, მე ჩემი აღვსრულე.

მოდის ქალაქიდან მეოთხე, მელასავით გასმუგნული ამათივე თანამოძმე. ბამარჯვება გაგინარჯოს შემდეგ, მიუბრუნდება ზემოდამ მომავალს და ეტყვის:

— შენსას ამბობენ, დიდი ხანია გოშპიტალში ხარ და ვერა შეიძინე-რა კი. მე ეგ ჯერ არა მჯერა და თუ მართალია, ნუ კი გეწყინება და საშინელი სულელი უნდა იყო შენ, რომ შემთხვევა გქონდა და ამ შემთხვევით ვერ ისარგებლე. ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, რომ ამისთანა შემთხვევა, როგორიც ეს ომიანობა იყო ფულის მოსაგებად, ჩვენმა მოძმემ ვეღარ ჩაიგდოს ხელში....

ბილდე რალაც უნდა ეთქვა, მაგრამ ზემოდამ მომავალმა აღარ დააცალა, გამოეთხოვა და წავიდა ქალაქისკენ.

შენი ყველანი მგონი გოშპიტლის კომისარები იყენენ. ამგვარი სცენები არა ერთხელ მიხანავს ჩემის თვალით და როცა კი ერთათ შეკრებილი მიხანავს ეს ვაჟ-ბატონები, სულ ამ საგანზე ჰქონიათ ერთმანეთში ბაასი; ესენი სულ მართლად თავიანთი არსებით ამ ფიქრებში არიან ჩანთქმულები. ამათთვის გოშპიტლების გარეთ სხვა ქვეყანა და ამ ცხოვრების გარდა სხვა ცხოვრება აღარსად არის.



უკანასკნელი ოთხი-ხუთი მანეთი უჯდება.

ნუ თუ ეს მართალია?

* * * მნიდამ (რაჭილამ) გეწერენ, რომ ჩვენს მომრიგებელ მოსამართლეს ორი ისეთი საშინელი მკბენარი ძაღლები ჰყავს აწვებულიო, რომ ამათი შიშით მთელი ერთი ქუჩა, რომელზედაც ამის ეზო გამოდის, სრულიათ მიყრუებულია, რადგან კაცს ვერ გაუფლიაო. ეს ეზო და ქუჩაც საშინლად აყრადებულია, რადგან უფ. მოსამართლე ყველა სიბინძურეს აქეთვე აყრევინებსო და ეს რომ ქვეყანამ არ შეიტყოს, ქუჩაც იმიტომ გააკავე ძაღლებითაო.

უცხო ქვეყნები

ინგლისი

ლონდონის გაზეთი „მორნიგ პოსტ“ გვაცნობებს, რომ ღვინობისთვის 14-ს ინგლისის მინისტრებს ჰქონიათ რჩევა იმაზედ—ამ ზამთრამდინ დაიწყოს ინგლისმა ომი ავგანისტანთან, თუ გაზაფხულამდინ მოიცადოსო. ჩვენ არ შეგვი-

ბოშპიტლების ზედამხედველებიც სწორეთ ამავე ყალიბისანი არიან.

ზასაკვირველი ის არის, რომ თვით ბევრი სამხედრო ექიმებიც ამათი თანამოსაზრენი არიან. მე ის მიკვირს, რომ უმალღეს სასწავლებლებში არიან დაზღილები და ერთი, წამლათ რო გინდოდეთ, საზოგადო აზრი ამათ თავში არ მოიპოვება. ამათი ფიქრი მარტო ფულები და ჰამასმა არის. არც ხალისი აქეთ თავიანთის წმიდა საქმისა და, სწორეთ მოგახსენოთ, მგონი რეცეპტების დაწერია მეტი არაფერი არა ესმისთრა.

ახლა სხვა სურათი.

აგერ ახალქალაქილამ მოდის ერთი დუხობორის ფურგონი, სავსე ქალებით. მალაქილამ ერთი მარსი მოაჩხაკუნებს თავის ხმალს და რაც შეუძლიან აბზრიალებს წაღების ღებებს. შეხედება ფურგონს, დაათვალიერებს შიგ მსხდომ ქალებს და უცებ საამოფენებით დაიძახებს:

— მკ, შენა ხარ, მატრონა ნიკოლაევა! საით, როგორ შენ და შენი საქმეები... პარვა ბლომათ მოგიდის საქონელი! საილამ გიშოვია?

— მაშ რა მექნა, რომ არ მეშოვნა, ამოდენა ხალხი ხართ, არ მოგინდებთ თუ?... უნდა ვითხრა კი, რომ ძალიან ძვირად დამიჯდა. ამაში მივეცი 200 მანეთი, ამაში 150 მანეთი, ამაში...“

მართის სიტყვით, ყველა ჩამოთვალა ვისში რა მისცა და ისე სინიდის შეურყველად, როგორც ახალ-გორელი სომეხი რთელიანობას რო თხებს იყიდის

ტყვია ჯერაო, ამბობს ეს გაზეთი, როგორ გადაწყვიტა ჩვენმა სამინისტრომ ეს საგანო, მაგრამ იმედი გვაქვსო, რომ ავგანისტანის ლაშკარი წელსვე დაიწყებაო.

— ამავე საგნის შესახებ გაზ. „თამს-ში“ ვკითხულობთ:

„ინგლისის განზრახვა მხოლოდ ის არის, რომ განდევნოს ავგანისტნიდამ ყველაფერი, რაც საკუთრივ ავგანისტანს არ ეკუთვნის და რაც მინებელია ინგლისისათვის, ჯერ არ არის გარდაწყვეტილი—როდის შეუდგება ჩვენი მმართველობა ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას! მაგრამ მგონია ცხადია, რომ გაზაფხულამდინ ჩვენი ჯარები ვერ გადავლენ ავგანისტანის სამზღვარზე.“

„მანამ კი ჩვენი უმთავრესი ყურადღება მეროპის საქმეებზედ უნდა იყვეს მიქცეული; აქ უნდა ვცილობდეთ ჩვენ, რომ ბერლინის კონგრესის ყველა გარდაწყვეტილება დაუბრკოლებლივ და ბეჯითად იყვეს აღსრულებული.“

ოსმალეთი

სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ იქაურ სპარსეთის ელჩა უთხოვნია ლეიარდისთვის იშუამავლოს ოსმალეთის

და თავის ამხანაგს ანგარიშს აძლევს: აი ამაში ეს მივეცი, ამაში ესა და სხვ.

ამ კაცის ბუნების ღირსების დამამკირებელ ბოროტებაზე, ე. ი. ქალებით ვაჭრობაზე, ჩვენს ადგილობრივ გაზეთებში ბევრჯერ იყო ცხარე ბასის; მაგრამ ეს კეთილშობილი და სამართლიანი ბაასები დარჩნენ მხოლოდ „ხმად უდაბნოში“ და ესლა ისე თავს წავიდნენ ეს პილწი მაჭანკალი დედა-კაცები, რომ აშკარად ყიდულობენ ღარიბი მშობლებისგან ქალებს და თამამად ლაპარაკობენ ყველგან ამათ ყიდვას. ეს უბედური მსხვერპლებიც სრულიად იმათა მონები ხდებიან.

ამას წინეთ, როდესაც ღენ. ტერ-ლუკასოვი იყო აქ, ამ გვარი ქალები ბევრი მოგროვდნენ არტანში, მაგრამ, როგორც სხვებმა გარდმომცეს, აქაურმა მაჭანკალიანებმა იჩილეს ტერ-ლუკასოვთან—ნუ გვპილწამთ, შეგვიბრალეთო, და ამ უკანასკნელმაც დააკმაყოფილა ეს სამართლიანი თხოვნა: გამოარეკინა აქედამ. მხლა, როდესაც ის თვალდამ გაიცილეს, ისევ ნელ-ნელა გროვდებიან...“

აი ის წარჩინებული ხიდიც, რომლიდამაც შარშან, არტანის აღების დროს, ჩამოდენიშე ათასი სულდგმული ჩინთქვა აღიდებულს მტკვარში. ამ ხიდის ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ განიერი, ხოლო სიგძით კი ჩამოდენიშე ნაბიჯი ქუჩია, რომლის ორივე მხრივ ჩამომწყრივებულიან წერილმანი და ქუჩყიანი სამიკიტნოები შემდეგი ზედ-წარწერით: „რუ-

მთავრობასთან, რომ დაუთმონ [სპარსეთს] მოტურის მარა, თანახმად სპარსეთის ტრაქტატისა; ამავე დროს ხსენებულს ელჩს დაურწმუნებია ლეიარდი, რომ რუსეთსა და სპარსეთს შუა არაერთი კავშირი და პირობა არ არის შეკრულიო.

სამრბია

მენილამ იწერებინან, რომ აქაურ სერბისა და საბერძნეთის ელჩებს შუა არის ამ ჟამად აქ მოლაპარაკება იმაზედაო, რომ, თუ ამ ორ სახელმწიფოში რომელსამე ვისთანმე ომი აუტყდა, ერთად იმოქმედონ მტრის წინააღმდეგაო.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 19 ოქტომბერს. აღრიანო-პოლოსა და ლუღე-ბურგარს შუა დიდძალი რუსის ჯარებია მოგროვილი. ტყვეობილამ დაბრუნებული ოსმალის ნიზამის ჯარი, რომელთაც სამსახურის ვადა არა აქეთ გასული, ისევ სამსახურში ჩარიცხეს და ძასსოვოში გაგზავნეს.

პეტერბურლი, 20 ოქტომბერს. ლენე-რალი ძსლოვი მოსკოვის ობერ-პოლიციმეისტერად დაინიშნა.

სკი ტრაქტირ“, საილამაც ბარბაკით გამოდიან სალდათები. ამ ქუჩის მარჯვნივ, მტკვრის პირზე, არის გამართული, ოფილისურ აბანოების ჰანგზე, თათრული აბანო, რომელიც იპერ-ხვევლს გამაჭმადიანებულს ქართველებს უჭირავთ. მენი სულ ყველანი სხვა ქართველებთანაც და ერთმანეთშიც ქართულის ენაზე ლაპარაკობენ და ძალიან წმინდათ.

ჩამოდენიშე დღის წინეთ ამ აბანოში სხვათა შორის მეც ვფუფუნებდი. უცებ შემოვარდა გულ-განეთილი მე-აბანოვე და გამოუცხადა იქ მყოფებს—უფროსი მობრძანდება საბანოთაო და თქვენი ჭირამეთ მალე გამოდით, თორე მრთლად დევილუპეო. აქ მყოფები, რასაკვირველია, არ დათანხმდნენ ამისთანა უსამართლო თხოვნაზე და დაღონებული მეაბანოვე უკან გაბრუნდა. უცებ დაიძახეს—მობძანდაო და ოთხმა კაცმა შემოიყვანა, როგორც პატარძალი, ერთი თბილად შეხვეული ძალად გაბღინძული პირი. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როდესაც უფროსის მაგივრად დავინახეთ იმისი ვილაც ყიზილბაშელი დილბანდი (თარჯიმანი). იმნაირად იბღინძებოდა და ამპარტავნულად იყურებოდა, რომ უნებურად წავგესქდა სიცილი, ასე რომ ამან იგზინო თავისი უკანაო მდგომარეობა და აღარ იცოდა რა ექნა.

აი, ასე ატყუებენ ხამ ხალხს წერილმანი ჩინოვნიკები...

ჭია-ჭამია

(შემდეგი იქნება)

კატალოგის ბირჟა, 19 ოქტომბერ,

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	96—87
მეორე — — — —	95—75
მესამე — — — —	95—50
მეოთხე — — — —	95—25
აღმოსავლეთის — —	92—25

ოქრო, 1/2 იმპერიული — 8—28

თფილ. თაგაღ-აზნ. ბანკის

გირაოს ფურცელი — — — —

შანგაი 5% სესხის ბილეთები:

მან. კაპ.

პირველი სესხის — — 234—75

მეორე სესხის — — 228—75

1 მანეთი ლირს:

ლონდონი — — 23 — 87 პენსი

ამსტერდამი — — 120 — 25 ცენტი

ბერლინი — — 203 — „ ჰანოვერი

პარიზი — — 250 — „ სანტიმი

პავკასიის კრასინი — — 2 — 25

ბანსხალეზანი

თფილისის გუბერნიის სახელმწიფო-ფო. მამულის პაპაგოპისაგან

თფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულის განყოფილება ამით უცხადებს ქალაქს თფილისის იმ მცხოვრებთა, რომელთაც აქვთ სახლი ანუ ბაღი ძველ საეკლესიო და ახლა სახ.ზინო მამულზედ რომ 1870 წლის 20 ქრისტე-შობისთვის გამოცხადებულის უპალო-სის განკარგულების და გრეთე 1873 წელს — 15 მარტს გამოცხადებულის აღი-ღელი მთავარ-სამმართველოს რჩევის დადებულების ძალით, ხსენებული საეკ-სლმისი და ახლა სახ.ზინო მამულ-ლეში, რომლებიც სძევან თფილისში

და ამის არე-მარეში და რომელზედაც აშენებულთა კერძო პართა სახლები ანუ გამართულია ბაღები, უნდა გაიყიდოს ამ სახლებისა და ბაღების პატრო-ნეზა.

უასი უნდა გადაიხადონ ან იმ არე-ლის-ფულის ოგსაფერად, რომელსაც ახ-ლა აძლიერენ ამ მამულში და ანუ იამუ-ლებინ დაფასებით.

პადა ამ მამულების ხსენებულს საფუ-ძილზე გაყიდვისა დანიშნულია მქმსი თვა.

თუ ამ ზემო აღნიშნულ ვალამდინ ის საეკლესიო მამულები არ შეისყიდეს სახლისა და ბაღის პატრონებმა, ამ შემ-თხვევაში მთავრობის განკარგულებით ის მამულები ხელ-ახლად იქნებიან დაფა-სებულნი და ამ ახალი დაფასების და-გვარად ახალი არენდის ფასიც დაინიშ-ნება.

თფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონება-თა გამგებელი პოლიკოფიკატელიო. სერგეიო მელიქ-მელქონოვი. საქმის მწარ-მოებელი მაჭავარიანი.

(3—1)

თიანეთის უფლები თ. ნიკო შავკა-ვადის მამულის გვერდით, ისყი-დება მამული ღირს 700 ლესიატინა,

რომელიც შე-იცავს სახნავ-სათეს ადგილს, ტყეს, საწის-ქვილეს ადგილს (იორზე).

უასისა და აგრეთვე უფრო დაწერილ-ბული გარემოებია შეტყობა და მამუ-ლის პლანის ნ.ხეა შეიძლება „დროე-ბის“ რედაქციაში, სერგეივის ქუჩაზე, სახლს № 8.

(10—6)

ბასამირავმალი სადგომი არის ირაკლის ქუჩაზე ბასამირავის სახლი-ში, მეორე ეტაჟში: შვიდი სუთა ოთახი, სამზარეულო და ზიკებისთვის ოთახები.

დაწერილებით პირობების შეტყობა შეიძლება ამავე სახლის ქვემო ეტაჟში, სადაც უფ. პონსტანტინე ძრუჩინოვი დგას. (10—7)

გამოვიდა ლიტოგრაფიიდან და ის-ყიდება გ. ჩარკვიანის წიგ-ნის მაღაზიაში

ქართული სახალ-სო სიგელები

ნოტაჟა გარდაკეთებული

მიხეილ მაჭავარიანისაგან

და

გამოცემული გ. ჩარკვიანისა.

უასი ერთი მანეთი

გამოვიდა და ისყიდება „თავარ ბატონიშვილი“

ხუთქოქიდედანი დრამა საქართვე-ლოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდან, გადმოკეთებული ბრ. ჩხეულოვის რა-მანიდან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

პ. მუსხისაგან.

ისყიდება: თფილისში — ყველა წიგნის მაღაზიებში,

მუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბ-ლიოთეკაში.

უასი ზველგან ექვსი რაზრი.

მასწავლებელს ჰსურს მოამზა-დოს უმადვილები სასწავლებლებში. აღრამი გთხოვთ ხელაძის სტამბა-ში დასტოკოთ.

რ. ზ. ა.	დ. ს. ა.	II კ.	III კ.	ბალეგრავი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18	3 3	მ. სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 19 ოქტემბ.		მრევენს მადანზე, წ ნაძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	6 8	ქუთაის, შოთს	1	შვე. თეთ. ბანჯ. ხა, ფთ.	1 80	უკეთესებს მიიღვენ უოველს
ზორს	11 5	9 43	2 40	ზორს, აუშეთს სილნალს	50	შველი წიფელი	1 60	დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ხაშური	1 29	11 57	3 92	როსტოვი, მდებსა, მოსკოვი	2	შერი ფუთი	1 30	მ. რ. შაბათს: მერმიშვი და ბა-
სურამი	1 44	4 42	2 46	პეტრობულს, მარზაფას	2	ბაბა მრევისა, ფუთი	6 30	რ. ლევიჩ — შინაგ. ავთა, შიუნ-
ქუთაისი	5 49	5 81	3 23	მსხალთშ, შვირი რაშო.	3	— აპერიკია, ფუთი	7 20	რიანც — საჯარო ექიმი და საშვი-
რიონი	6 5	6 75	3 75	იტალია და სერგეთი	3 50	ბაქტალი ბ მია ფუთი	10	ლოს ომერაციები.
სამტრედია	7 51	7 75	4 29	ნიგლისში	3 75	მატული თუშური ფუთი	8 50	სამშაბათს: მერმიშვი — ში-
ახალ-სენაკი	8 43	8 57	4 76	ფოჩტა		— მარაქამისა ფუთი	4 60	ნ. გ. ა. ბ ხტოვი — საბეილო და ბაეუ
შოთი	9 50	9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარ-თ, შუთასს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ, და ხტოშ. მზურ. — პარასკ. და ორშ. ბა-ხეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაის-სიდან: თფილისისა და შოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურ-გთს — ორშ. და პარასკ.		— შირტი ვედრო	4 80	მის, შეუნოვი — თვალის.
შოთი	9 3			წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		— შირტი დროხისა, ლიტ	7 60	მ. თ. შაბათი: მერმიშვი ში-
ახალ-სენაკი	10 14	1 18	6 66	ლია წიგნისა	4	— ცხვრისა, ლიტოა	8 1	ნაგ., შ. უმარიანი — სიკლიტიკუ-
სამტრედია	11 5	2 6	1 14	დ. კვილარსი (ხ. მი. მისხალი)	8	სპირტი ვედრო	4 80	რი და საზარღვ ორგანებს.
რიონი	12 13	3 4	1 69			შაქარი, ბროტ. ფუთი	7 40	პარასკევი: მერმიშვი ვი-შინ-გ.,
შვირილი	1 18	3 98	2 21			— ფხვნილი ფუთი	6 20	ბ. ბახტოვი — საბეილო ქალისა და
სურამი	5 12	1 10	5 33			შავა გრგვ. ღი, გრგვ.	7 0	ბაეუგბა.
ხაშური	5 39	1 37	5 84			ხეთი ქუნჯულისა ფუთი	12 80	შაბათს: მერმიშვი შინაგ., და
ზორს	7 5	4 87	3 6 4 97			მამბაქო, საშულო ფთ.	6 60	შეუნოვი — თვალისა.
მცხეთა	8 50	6 59	9 8 5 4					
თფილისი	9 31	7 56	9 75 5 42					